

# ექოლალია და მისი ფუნქციის ანალიზი აუტიზმის მქონე ბავშვები

შორენა ტყემელაშვილი

*კვლევითი პროექტი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და მეტყველების კვლევის მეთოდების სალექციო კურსის მოთხოვნების შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## სარჩევი

აბსტრაქტი .....	2
Abstract.....	4
შესავალი.....	6
ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
<i>ექოლოგია და მისი ფუნქციები.....</i>	9
<i>ექოლოგია და ენის ათვისების გეშტალტური სტილი .....</i>	16
კვლევის მეთოდოლოგია .....	19
კვლევის პროცედურები.....	31
შედეგების აღწერა და ანალიზი.....	32
დასკვნა და რეკომენდაციები .....	51
გამოყენებული ლიტერატურა .....	57

## აბსტრაქტი

აუტიზმის მქონე ბავშვების მეტყველებისთვის ხშირად დამახასიათებელია ექოლალია. ექოლალიური ქცევები ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად განხილვადი საკითხია აუტიზმის მქონე ბავშვების ენისა და მეტყველების მახასიათებლებს შორის, რასაც გარკვეულწილად განაპირობებს მისი თვალსაჩინო ხასიათი. აუტიზმის მქონე იმ ბავშვების, რომლებიც ენის გაშუალებით მეტყველებენ, 75%-ისთვის განვითარების გარკვეულ ეტაპზე დამახასიათებელია ექოლალია და მოიცავს ქცევათა კონტინიუმს, რომლებიც სხვადასხვა ასპექტის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან (Prizant, 1983; Schuler, 1979; Prizant, Note 1). კვლევები, ასევე, მიუთითებენ აუტიზმის მქონე ბავშვებში ექოლალიის შედარებით უფრო გავრცელებულობაზე, ვიდრე სხვა კლინიკური პოპულაციების შემთხვევაში (Paul et al., 1987). მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ექოლალიის ფენომენის შესახებ სამეცნიერო, კვლევით თუ კლინიკურ წრეებში დღემდე მიმდინარეობს დისკუსია. შესაბამისად, ექოლალია საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, როგორც საერთაშორისო, ასევე ლოკალურ, საქართველოს ფარგლებში.

ძირითადი განმასხვავებლების გათვალისწინებით გამოიყოფა ექოლალიური ქცევის ორი მთავარი კატეგორია: მყისიერი და გადავადებული ექოლალია. მყისიერი ექოლალია არის ორიგინალი ფრაზისა თუ გამონათქვამის უშუალო, მყისიერი გამეორება, ხოლო გადავადებული ექოლალიის შემთხვევაში გამეორება მოგვიანებით, გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ხდება (Prizant, 1983). დაახლოებით 1980-იანი წლებიდან აქტიურად დაიწყო ექოლალიის განხილვა კოგნიტური და ლინგვისტური გადამუშავების „გემტალტური“ და „ანალიტიკური“ მოდელის კრილში, რაც მნიშვნელოვნად ცვლის იმ ძველ მოსაზრებას ექოლალიის შესახებ, რომ იგი არის „სხვა ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვების ან სიტყვათა ჯგუფის მნიშვნელობის არ მქონე გამეორება“ (Fay & Schuler, 1980, p.25).

აღნიშნული თემის მნიშვნელობასა და აქტუალობაზე, ასევე, მეტყველებს მშობლებისა თუ კლინიკურ პრაქტიკოსთა (ენისა და მეტყველების, ქცევის და სხვა თერაპევტები) დაინტერესება, მათი შეკითხვები და კომენტარები: „სულ ასე იმეორებს სიტყვებს, რატომ?“, „შეწყვეტს თუ არა საბოლოოდ ფრაზების გამეორებას“, „ხშირად იმეორებს ფრაზებს მულტფილმებიდან“, „თითქოს ერთადერთი გზაა კომუნიკაციის“,

„აქვს თუ არა რაიმე ფუნქცია ექოლალიას“ და ა.შ. აღნიშნული კვლევა სწორედ ექოლალიასთან დაკავშირებულ დისკუსიაში ჩართვისა და საქართველოში ექოლალიაზე აქტიურად მსჯელობის დაწყების ერთგვარი მცდელობაა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმის კვლევა თუ რა ფუნქციას ასრულებს და როგორ იყენებენ გადავადებულ და მყისიერ ექოლალიას აუტიზმის მქონე ბავშვები. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს Barry M. prizant-ის, Patrick J. Rydell-ისა (“Analysis of functions of Delayed Echolalia In Autistic Children”) და Barry M. prizant-ის, Judith F. Duchan-ის („The Functions Of Immediate Echolalia In Autistic Children”) კვლევების რეპლიკაციას ქართულ პოპულაციაზე, თუმცა მცირედი ცვლილებებით. კვლევის მთავარი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: ექოლალია არის განყენებული (იზოლირებული, თავისთავადი) ფენომენი, რომელიც ხაზს უსვამს ენის გაგების სირთულეს თუ იგი ემსახურება სხვადასხვა ფუნქციას? ნაშრომის ფარგლებში, ასევე, შევხებით ენის განვითარების გემტალტურ და ანალიტიკურ თეორიებს და შევეცდებით ექოლალიის განხილვას აღნიშნულ ჭრილში.

**საკვანძო სიტყვები:** მყისიერი ექოლალია, გადავადებული ექოლალია, ენის დაუფლების გემტალტური და ანალიტიკური სტილი, აუტიზმის სპექტრი.

## Abstract

In most cases echolalia is a common element in speech and language of individuals with autism spectrum disorder. Echolalia is among the most recognizable and prominent speech and language characteristics in autistic children and consequently it is probably the most frequently discussed topic. Such verbal repetition is characteristic of at least 75% of verbal autistic persons and is comprised of a continuum of behaviors which may vary in many aspects (Prizant, 1983; Schuler, 1979; Prizant, Note 1). Research suggests that echolalia may be relatively more common in ASD than in other clinical populations (Paul et al., 1987). It is important to mention that echolalia has long been the source of controversy across several scientific, clinical and research disciplines. Consequently, echolalia is a quite actual and up-to-date topic both internationally and locally, in Georgia.

The basic distinctions that have been made differentiates two general categories of echolalic behavior: immediate and delayed echolalia. Immediate echolalia refers to utterances produced immediately following or a brief time after the production of an original utterance. Delayed echolalia refers to utterances repeated at a significantly later time (Prizant, 1983). In 1980's actively began the discussions about echolalia in the context of "gestalt" and "analytical" style of cognitive and linguistic language processing model and it significantly contributed towards the consideration of the previous view about echolalia that it is „the meaningless repetition of a word or word group just spoken by another person" (Fay & Schuler, 1980, p.25).

The significance and actuality of this topic is indicated by the interest and concern of parents and clinical practitioners (e.g. speech and language pathologists, behavior and other therapists) and their questions about the issue: "He always repeats word like this, why?", "Will he/she eventually stops repeating phrases?", „He repeats phrases from the cartoons", "I guess it's the only existing way of communication", "does echolalia has any function?" and etc. This research is an attempt to actively engage in the discussion regarding echolalia and to make this topic active in Georgia.

The purpose of this research is to determine and discover how immediate and delayed echolalia is used and functions for children with autism spectrum disorder. This research is a replication of Barry M. prizant's, Patrick J. Rydell's ("Analysis of functions of Delayed Echolalia In Autistic Children") and Barry M. prizant's, Judith F. Duchan's („The Functions Of

Immediate Echolalia In Autistic Children”) existing researches for Georgian population with small changes. The main question of this research is: Echolalia is an isolated phenomenon that indicates the problem of language comprehension or does it function for some purposes? This work also includes the discussion about “Gestalt” and “analytical” language processing theories in the context of echolalia.

**Key words:** immediate echolalia, delayed echolalia, language processing “gestalt” and “analytical” styles, autism spectrum disorder.